დანართი №5

## დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა

## (ქვეპროგრამის კოდი 06 02 07)

დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა (შემდგომში- პროგრამა) განსაზღვრავს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები დიალიზზე დამოკიდებული მოქალაქეების დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

**მუხლი 1. პროგრამის მიზანი**
დიალიზზე დამოკიდებული მოქალაქეების დიალიზის მომსახურების მიღების ხელშეწყობა.

**მუხლი 2. დაფინანსების წყარო**
გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა**
პროგრამა ძალაშია 2024 წლის პირველი იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლეები**
პროგრამით მოსარგებლეები არიან დიალიზზე დამოკიდებული, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული მოქალაქეები.

**მუხლი 5. პროგრამით მოსარგეებლეების დაფინანსების ორგანიზება**
1. სოციალური დახმარების მისაღებად ბენეფიციარი წერილობითი განცხადებით მიმართავს და სრულყოფილ დოკუმენტაციას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს ან შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს. მიღებული დოკუმენტაცია შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში.
2. პროგრამა ითვალისწინებს დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული მოქალაქეების სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებას დიალიზის მომსახურების მისაღებად. თანხა გაიცემა ყოველთვიურად 180 (ას ოთხმოცი) ლარის ოდენობით.

**მუხლი 6. დახმარების მისაღებად მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტები**

წარსადგენი დოკუმენტები:

ა) განცხადება;
ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
გ) იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მოწმობის ასლი (იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მომართვის შემთხვევაში);
დ) ცნობა, სადაც მითითებული იქნება, რომ ისინი არ არიან ამ წესით გათვალისწინებული ანალოგიური დახმარების მიმღები იმ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სადაც არიან რეგისტრირებული (იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მომართვის შემთხვევაში);
ე) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV – 100/ა);
ვ) საბანკო რეკვიზიტი (ყოველთვიურად).

**მუხლი 7. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფლებამოსილება**

ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური შემოსულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ამზადებს ბრძანების პროექტს მუნიციპალიტეტის მერთან წარსადგენად, ხოლო განცხადებაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმართავს განმცხადებელს ან/და მერის წარმომადგენელს ადმინისტრაციულ ერთეულში ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

**მუხლი 8. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაფინანსება**

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებებისა და დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის მიერ წარმოდგენილი გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.
2. დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს (ბრძანებას) .
3. საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური თანხას გასცემს უნაღდო ანგარიშსწორებით ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

**მუხლი 9. პროგრამის შედეგის ინდიკატორი**

სატრანსპორტო დახმარების მიმღები დიალიზზე დამოკიდებული მოქალაქეების რაოდენობა.

**მუხლი 10. პროგრამის შედეგი**
დიალიზის სახელმწიფო პროგრამის სერვისის ხელმისაწვდომობა.